ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N60/8

თბილისი 05" 02" 2018წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა ჯინჯიხაძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ავერსის კლინიკა"** (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბერს N2687 განკარგულების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, შემსყიდველისათვის საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შემსყიდველის ტერიტორიული ერთეულის თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის ერთი ბენეფიციარის **(მ.ხ.-პ/ნ-01012000819)** საჭიროებისათვის სამედიცინო მომსახურების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები - 85100000) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება არაუმეტეს **485 (ოთხასოთხმოცდახუთი)** ლარად (შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება"). **(სახ. კოდი 35 02 05)**

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1შესყიდვის ობიექტია თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში განთავსებული ბენეფიციარის **(მ.ხ.-პ/ნ-01012000819)** საჭიროებისათვის შემდეგი სამედიცინო მომსახურება:

- **მუცლის ღრუს მ.რ. კვლევა-ღირებულებით 300 (სამასი) ლარი.**
- **ვიდეოკოლონოსკოპია -ღირებულებით 185 (ასოთხმოცდახუთი) ლარი.**

4.მომსახურების გაწევის პირობები

4.1მომსახურების გაწევა განხორციელდება ბენეფიციარის კლინიკაში წარდგენიდან გონივრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 20 სამუშაო დღეს მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას 27ბ.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტით, მომსახურების გაწევის შემდეგ, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

5.2 მომსახურების გაწევის შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დ.ღ.გ-ს გადამხდელია).

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6.3 შემსყიდველი უზრუნველყოფს „მიმწოდებლის" დაფინანსებას 6.2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.3 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში, უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2 დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო
კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების
მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება,
აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მეორე მხარე უფლებამოსილია დამრღვევ მხარეს მოთხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (გადასახდელი თანხის) 0,02%–ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%–ის ოდენობით.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის არაჯეროვანი შესრულებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%–ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ერთ–ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში;

14.1.3.ხელშეკრულების 13.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

15. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს, შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1 გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან სამი – შემსყიდველთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“	**შპს „ავერსის კლინიკა“**
ქ. თბილისი თამარაშვილის N15ა	მის: თბილისი, ვაჟა ფშაველას #27ბ
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „საქართველოს ბანკი“
კოდი № TRESGE22	კოდი # BAGAGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022	ა/ა #GE05BG0000000170821600
ს/კ № 205169592	ს/კ 212002580
ლაშა ჯინჯიხაძე	**დიმიტრი ჯორბენაძე**
დირექტორის მ. შ.	დირექტორი